1048025634142
www.info.court.ge

4

საქმე №3/3441-13

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

29 იანვარი, 2014 წელი ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - ინგა კვაჭანტირაძე

სხდომის მდივანი - ციალა გახელაძე

მოსარჩელე - ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"
წარმომადგენლები - ირაკლი მაჭარაშვილი, ირმა მახათაძე

მოპასუხე - საქართველოს მთავრობა
წარმომადგენელი - ზაზა თაქთაქიშვილი

მესამე პირი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
წარმომადგენელი - ლელა ნოზაძე, ირაკლი თავართქილაძე

მესამე პირი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
წარმომადგენელი - ნანა ზამთარაძე

დავის საგანი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე საქართველოს მთავრობის წარმოამდგენელმა სარჩელი არ ცნო და მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელს.

3. მესამე პირის პოზიცია

3.1. მესამე პირის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

3.2. მესამე პირის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა წერილობით წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

4.1.1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცდა ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი".

4.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

მხარეებს ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდიათ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმების და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონი, "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი, ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს მთავრობის რეგლამენტი"

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ე" ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენს ნორმატიულ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს.

7.2. მოსარჩელე სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ერთ-ერთ საფუძვლად უთითებს მის გამოცემას კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით, კერძოდ, მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს მთავრობის მიერ სადავო აქტის გამოცემისას დარღვეულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის 106^2-ე მუხლი, რომელიც საქართველოს მთავრობას ავალდებულებდა, ამავე კოდექსის 55-ე და 56-ე მუხლებით დადგენილი წესით, ნორმატიული აქტის პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას.

სასამართლო ვერ გაიზარებს მოსარჩელის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის 1^1 ნაწილის თანახამდ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. ამდენად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით VII თავით დადგენილი წესი კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში გამოიყენება მხოლოდ იმ შემთვევაში თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე მუხლის 1^2 ნაწილის თანახმად კი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, ამ კოდექსითა და სხვა

საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები.

,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კოლეგიური ორგანოს ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღების (გამოცემის) წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ხოლო მე-12 მუხლის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) თანახამდ, საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება საქართველოს კონსტიტუციის, კანონებისა და საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში უნდა მიეთითოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული იგი. საქართველოს მთავრობის დადგენილება მიიღება ამ კანონითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სადავო პერიოდში მოქმედი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მთავრობის დადგენილება არის ნორმატიული აქტი, რომლის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, ხოლო მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვის, სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს მთავრობის რეგლამენტის" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მთავრობის მუშაობის, მთავრობის გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათ შორის, საქართველოს მთავრობის სხდომის (შემდგომში – მთავრობის სხდომა) მომზადების, წარმართვის, მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, აგრეთვე, მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა პროცედურული და საორგანიზაციო საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით (შემდგომში – რეგლამენტი).

შესაბამისად, სადავო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის რეგლამენტით საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების (დადგენილების) მიღებისთვის დადგენილი სპეციალური რეგულაციით და არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მეორე კარი კი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების

წესს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]-ე მუხლის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებას

7.3. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას სადავო აქტის "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტთან, მე-7 და მე-8 მუხლებთან წინააღმდეგობის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს №214 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინამდებარე წესი ადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების, დაინტერესებული პირების მიერ განაცხადების წარდგენის, გამარჯვებულის გამოვლენის და ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის (შემდგომში - „მემორანდუმი") დადების წესს და პირობებს, ხოლო მეორე პუნქტის თანახმად, სამინისტრო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხას (შემდგომში - „ნუსხა") და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას. ნუსხა ექვემდებარება გადახედვას, რასაც ახორციელებს სამინისტრო.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ სადავო დადგენილებით დამტკიცებულია ინტერესთა გამოხატვის წესი ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ და არა თავად ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების წესი. ინტერესთა გამოხატვის ზოგადი წესი ადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების, დაინტერესებული პირების მიერ განცხადების წარდგენის, გამარჯვებულის გამოვლენის და მემორანდუმის დადების წესს და პირობებს. ამასთან, ელექტროსადგურის პოტენციური ელექტროსადგურის ნუსხაში შეტანა იმთავითვე არ გულისხმობს აღნიშნული ელექტროსადგურის მითითებული განთავსების ადგილზე და პარამეტრით მშენებლობას. ბუნებრივია, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება შეუძლებელია პოტენციური ელექტროსადგურის სავარაუდო განთავსების ადგილას, ტექნიკური პარამეტრის და სხვა მინიმალური ინფორმაციის დადგენამდე.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული წესი არ არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების და მისი მთავრობისათვის წარდგენის საკითხებს, ინვესტორს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ეკისრება აღნიშნული ვალდებულება გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად.

განსახილველ შემთხვევაში ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ურთიერთგაგების მემორანდუმის ორ - წინასამშენებელო და სამშენებლო ფაზას. მითითებული მუხლის მე-2 პუნქტი წინასამშენებლო ეტაპზე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს, ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულის გარდა, ავალდებულებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას.

სასამართლო განმარტავს, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შედგენის ვალდებულების დაკისრება ემსახურება სახელმწიფოს მხრიდან ელექტროსადგურის მშენებლობით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების საკითხის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას. სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება ემყარება "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქრთველოს კანონს, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა სრულ ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების სამართლებრივ საფუძვლებს

მითითებული კანონის მე-3 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომში – გზშ) არის დაგეგმილი საქმიანობის შესწავლისა და გამოკვლევის პროცედურა, რომლის მიზანია გარემოს ცალკეული კომპონენტების, ადამიანის, ასევე ლანდშაფტის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. გზშ შეისწავლის, გამოავლენს და აღწერს საქმიანობის პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, კლიმატზე, ლანდშაფტზე, ეკოსისტემებსა და ისტორიულ ძეგლებზე ან ყველა ზემოაღნიშნული ფაქტორის ერთიანობაზე, მათ შორის, ამ ფაქტორების ზეგავლენას კულტურულ ფასეულობებსა (კულტურულ მემკვიდრეობასა) და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ამავე ნორმატიული აქტის მე-6 მუხლი კი განსაზღვრავს, გარემოზე ზემოქმედების

ნებართვის საჯარო განხილვის ვალდებულებას. კერძოდ, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენამდე მოაწყოს მისი საჯარო განხილვა (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა მოაწყოს მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცედურის დაწყებამდე). 2. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია გამოაქვეყნოს თავის მიერ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს როგორც ცენტრალურ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში, ისე იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება. 3. დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს: ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, დასახელებასა და ადგილმდებარეობას; ბ) მისამართს, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს შეეძლებათ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების (მათ შორის, გზშ-ის ანგარიშის) გაცნობა; გ) საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ვადას; დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის მოწყობის დროსა და ადგილს. 4. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია: ა) ბეჭდვით ორგანოში დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში (ხოლო ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოშიც) წარადგინოს გზშ-ის ანგარიშის როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული ვერსიები; ბ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის განმავლობაში მიიღოს და განიხილოს საზოგადოების წარმომადგენლებისაგან წერილობითი სახით წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები; გ) დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 და არა უგვიანეს 60 დღისა მოაწყოს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა თავის მიერ დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით; დ) გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე უზრუნველყოს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევა. 5. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. 6. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა ეწყობა იმ თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც დაგეგმილია საქმიანობის განხორციელება.

ამდენად, მითითებულ ნორმათა ანალიზი ცხადჰყოფს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოპოვება შეუძლებელია საჯარო განხილვის გარეშე, რაც თავისთავად გულისხმობს საკითხის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობასა და

ელექტროსადგურის მშენებლობით გარემოზე გამოწვეული ზემოქმედების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ ამავე კანონის მე-7 მუხლი ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჯარო განხილვის შედეგების გაფორმებას, რაც გულისხმობს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შედეგების შესახებ ოქმის გაფორმება, რომელიც დეტალურად უნდა ასახავდეს გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებებს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, საქმიანობის განმახორციელებელი ეცნობა საზოგადოების წარმომადგენელთა წერილობით შენიშვნებსა და მოსაზრებებს და ითვალისწინებს მათ არგუმენტებს გზშ-ის ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბების პროცესში.

გარდა ამისა, ,,საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამშენებლო ფაზაში ურთიერთგაგების მემორანდუმის გათვალისწინებულის გარდა, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის ვალდებულებებია:
ა) პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე უფლებების მოპოვება;
ბ) პროექტის განსახორციელებლად საჭირო მშენებლობის ნებართვის აღება;
გ) ელექტროსადგურების მშენებლობის დაწყება, სამშენებლო სამუშაოების წარმოება საქართველოს კანონმდებლობის, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, მშენებლობის დასრულება და დადგენილი წესით მშენებლობადასრულებული ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვება.

სასამართლო მიუთითებს კონვენციის პირველი მუხლს, რომლის თანახმად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას.

ამდენად, კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. აღნიშნული მიზნის მიღწევის საშუალებებს კონვენციის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, წარმოადგენს საზოგადოების მონაწილეობა საქმიანობათა გარკვეულ სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული, საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან საყოველთაოდ მისაღები სამართლებრივად სავალდებულო ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

ამდენად, დადგენილებით გათვალისწინებულია ის ზოგადი პირობები, რომელსაც უნდა

ითვალისწინებდეს ურთიერთგაგების მემორანდუმი და რომელიც ხელს უწყობს ელექტროსადგურების მშენებლობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობასთან სამშენებლო, გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით დაწყებას, დასრულებას და ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო დადგენილება არ ეწინააღმდეგება ,,გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ'' საერთაშორისო კონვენციისა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

7.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა აქვს მითითებული ნორმის მოთხოვნათა დარღვევას, გასაჩივრებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად, ასოციაცია ''მწვანე ალტერნატივას'' უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-12, 22-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

მე-8, 55-ე, 243-ე, 244-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სარჩელი არ დაკმაყოფილეს.

2. მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩეს უცვლელი.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7ა), თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) სააპელაციო საჩივრის შემოტანის გზით.

მოსამართლე **ინგა კვაჭანტორაძე**